

ETHNOGRAPHIC MATERIALS OF THE VILLAGES OF THE PHRONE GORGE ACCORDING TO EXPEDITION RECORDS

ფრონის ხეობის სოფლების ეთნოგრაფიული მასალები საექსპედიციო
ჩანაწერების მიხედვით

KETEVAN Barbakadze

Doctor of Pedagogical Sciences,
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
<http://arcid.org/0000-0002-8706-2102>

TAMAR GOGOLADZE

Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

Abstract. The gorge of one river or another generally represented a place around which settlements (villages) had been compactly formed since ancient times. For this reason, Professor Sergi Makalatia titled his main publications, describing the history and ethnography of villages located near gorges, as: "The Ateni Gorge," "The Liakhvi Gorge," "The Lekhuri Gorge," and others. One of these is his essay "The Phrone Gorge," which was published in 1963. This work included a historical-geographical overview of the Phrone Gorge, as well as descriptions of material cultural monuments and labor activities. Unlike his previous publications, this work places emphasis neither in the subtitle nor in the presentation of ethnographic material on the rich ethnographic data preserved through the expedition records conducted in 1944 under S. Makalatia's project at the Gori State Historical-Ethnographic Museum. Unfortunately, the work has been preserved only in manuscript form. The expedition was carried out from July 20 to August 20, 1944, in the villages of Eastern Phrone, that is, along the Dvani River: Sagholasheni, Aradeti, Tsveri, Breti, Dirbi, Takhtidziri, Dvani, Avnevi, Nuli, and Arkneti. The list of these villages is based on a list compiled by Vakhushti Batonishvili (as these villages belonged to different municipalities at different times). As we learn from the expedition records held in the funds of the Gori Museum, the participants of the expedition included the museum's scientific researcher, Ms. Marekh Khutsiashvili, and a teacher, Ms. Nino Kipshidze.

The expedition materials are written on rather low-quality paper, in the handwriting of Ms. Marekhi herself, and constitute a rough draft, as evidenced by crossed-out passages and corrections.

S. Makalatia chose not to append these expedition records to the final section of "The Phrone Gorge," in line with the demands of the Soviet era, although legends and oral traditions do accompany the descriptions of historical monuments.

The expedition materials essentially present a travel diary by M. Khutsiashvili and N. Kipshidze, which incorporates both ethnographic and folkloric material, and constitutes remarkable texts for ethnographers and historians alike.

Key words: Fieldwork, everyday customs and traditions, birth, funeral rites.

ქეთევან ზარბაქაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995577251272, tamilagoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

აბსტრაქტი. ამა თუ იმ მდინარის ხეობა ზოგადად წარმოადგენდა ადგილს, რომლის გარშემო უძველესი დროიდან კომპაქტურად იქმნებოდა დასახლებები (სოფლები), ამიტომაც პროფესორი სერგი მაკალათია თავის ძირითად პუბლიკაციებს ხეობების სიახლოვეს განლაგებული სოფლების ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღსაწერად უწოდებს: „ატენის ხეობას“, „ლიახვის ხეობას“, „ლეხურის ხეობას“ და სხვ. ერთი ამათგანია მისი ნარკვევი „ფრონის ხეობა“, რომელიც 1963 წელს გამოიცა. აღნიშნული ნაშრომი მოიცავდა ფრონეს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, მატერიალური კულტურის ძეგლების, შრომითი საქმიანობის აღწერას. წინა პუბლიკაციებთან განსხვავებით, ნაშრომს არამცთუ ქვესათაურში, არამედ არც ეთნოგრაფიული მასალის წარმოდგენისას არ ამახვილებს ყურადღებას იმ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე, რაც შემოგვინახა 1944 წელს ს. მაკალათიას გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პროექტით ჩატარებულმა საექსპედიციო ჩანაწერებმა. სამწუხაროდ, ნაშრომი შემონახულია მხოლოდ ხელნაწერის სახით. ექსპედიცია ჩატარდა 1944 წლის 20.07-20.08 აღმოსავლეთ ფრონეს, ანუ დვანის წყლის სოფლებში: სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, ტახტიძირი, დვანი, ავნევი, ნული, არკნეთი. ამ სოფლების ჩამონათვალი ემყარება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ სიას (რამდენადაც ეს სოფლები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შედიოდნენ). როგორც გორის მუზეუმის ფონდებში დაცული საექსპედიციო ჩანაწერებიდან ვიგებთ, ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ქალბატონი მარეხ ხუციშვილი და მასწავლებელი, ქალბატონი ნინო ყიფშიძე.

ექსპედიციის მასალები ჩაწერილია საკმაოდ დაბალი ხარისხის ქაღალდზე, თვით ქალბატონი მარეხის ხელით და წარმოადგენს შავ ხელნაწერს, რასაც მოწმობს წაშლილი ადგილები და შესწორებანი.

ს. მაკალათიას აღნიშნული საექსპედიციო ჩანაწერები, საბჭოური ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ დაურთავს „ფრონის ხეობის“ ბოლო მონაკვეთისათვის, თუმცა თქმულებები და გადმოცემები თან ახლავს ისტორიული ძეგლების აღწერას.

საექსპედიციო მასალებში წარმოდგენილია ფაქტიურად მ. ხუციშვილისა და ნ. ყიფშიძის მოგზაურობის დღიური, რომელშიც ჩართულია როგორც ეთნოგრაფიული, ისე ფოლკლორული მასალა და წარმოადგენს შესანიშნავ ტექსტებს ეთნოგრაფებისათვის თუ ისტორიკოსებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საველე მუშაობა, საყოფაცხოვრებო ადათ-წესები, დაბადება, მიცვალებულის გაპატიოსნება.

შესავალი. საქართველოში გეოგრაფიულად ბევრი მდინარე არსებობს, რომელთა ირგვლივაც, უძველესი დროიდან მოყოლებული იქმნებოდა კომპაქტური დასახლებები (სოფლები) სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პროფესორი სერგი მაკალათია (რომლის „ნარკვევებზე“ საუბარი გვექონდა სტატიაში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები და სერგი მაკალათია“ – 2025 წ.), უკავშირებს რა ხეობებს, აქვეყნებს წიგნებს „ლიახვის ხეობა“, „ატენის ხეობა“, „ლახურის ხეობა“, „ქსნის ხეობა“ და სხვ. ერთი ასეთი ხეობისადმი მიძღვნილი ნაშრომია „ფრონის ხეობა“¹ (1963 წ.) „სახელწოდება „ფრონე“ აღნიშნავს მდინარეთა ერთობლიობას, რომლებიც სათავეს იღებენ ლიხის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებიდან და ერთიანდებიან მტკვარში. მათ შორისაა აღმოსავლეთ ფრონე (დვანის წყალი), დასავლეთის ფრონე, შუა ფრონე (ფცის წყალი), ალის წყალი და სურამის წყალი. ეს მდინარეები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ რეგიონის დასახლების სტრუქტურის, მეურნეობისა და ისტორიული მეხსიერების ფორმირებაში შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე“ (სოსიაშვილი, 2025:2). ფრონეს ხეობა ისტორიული თუ გეოგრაფიული, ენათმეცნიერული კუთხით არაერთგზის გამხდარა მკვლევართა (ვახუშტი ბატონიშვილი, სერგი მაკალათია, გიორგი სოსიაშვილი, იოსებ ალიმზარაშვილი, მარიამ კობერიძე, ნიკოლოზ ოთინაშვილი და სხვ) შესწავლის ობიექტი, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფრონის ხეობის სოფლების ეთნოგრაფია შედარებით ნაკლებად არის ფიქსირებულ-გაანალიზებული, ყოველივე ეს მხოლოდ სამეცნიერო ექსპედიციების პრიორიტეტია და ამას არც აცდენია პროფესორი სერგი მაკალათია, რომლის პროექტით, საქართველოსათვის უმძიმეს წელს (1944 წელს), მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან იგზავნება ორი თანამშრომელი აღმოსავლეთ ფრონის სოფლების (აგნევი, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, ტახტიძირი, დვანი, ნული, არკნეთი) ეთნოგრაფიის შესასწავლად, რაც, სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში ვერ შევიდა „ფრონის ხეობის“ მესამე ნაწილში (შრომა-საქმიანობა), და ჩვენი ვარაუდით არ ეწოდა თვით ნაშრომს „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“, თუმცა ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებმა შემოგვინახა ხელნაწერის სახით ერთგვარი დღიური, ჩანაწერები უამრავი ფოტოფირებით, რაზეც აისახა 80-იოდე წლის წინ ხალხის მეხსიერებაში შემონახული ეთნოგრაფიული ნიმუშები, რომელთა წარმოჩენაც სადღეისოდ ცხადყოფს იმ სავსე მუშაობის მნიშვნელობას, რომელსაც ეწეოდნენ ენთუზიასტი ჩამწერები, თუ მთქმელები.

მეთოდები. აღწერითი, შედარებით-ისტორიული.

შედეგები და მსჯელობა. ს. მაკალათიას „ფრონის ხეობამ“ შემოგვინახა ძირითადად ხეობის ისტორიული ძეგლები და მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები, მაგრამ საექსპედიციო ჩანაწერები ეთნოლოგიისათვის მნიშვნელოვან ადათ-წესების აღწერის გარდა იძლევა ჩაწერილ ფოლკლორულ ნიმუშებსაც (შელოცვები, საყოფაცხოვრებო ლექსები). თვით საექსპედიციო მასალები მოიცავს 20-იოდე გვერდს, ნაწერს საკმაოდ უხარისხო ცალხაზიან რვეულში და წარმოადგენს შემდგომად გადასათეთრებელ შავ ვარიანტს, რასაც ადასტურებს წაშლილი ადგილები და თვით ჩანაწერების სტრუქტურაც. ექსპედიცია დაიწყო 1944 წლის 20 ივლისს და დასრულდა 20 აგვისტოს, მაგრამ საკმაოდ მხატვრულადაა აღწერილი ექსპედიციის მონაწილე ორი ქალბატონის, მარეხ ხუციშვილისა და ნინო ყიფშიძის მოგზაურობა სოფლიდან სოფლად. ექსპედიციის მონაწილე ერთი ქალბატონი მარეხ ხუციშვილი (1915-1981) მუზეუმის

¹ მიღებული ფორმაა ფრონე-ფრონეს, თუმცა, პროფესორ ს. მაკალათიას ნაშრომს ეწოდება „ფრონის ხეობა“.

მეცნიერ მუშაკი იყო 1942 წლიდან და, მიუხედავად ახალგაზრდობისა, საკმაოდ საფუძვლიანად შეუდგა დაკისრებულ საქმეს: ეთნოგრაფიული მასალის შეკრების კანონებს. მ. ხუციშვილი იწერს ადგილს (სოფელს) მთქმელს, მის ასაკს და მიუთითებს საკუთარ თავსაც, როგორც ჩამწერს.

მეორე ქალბატონი, ნინო ყიფშიძე, გადმოცემით უნდა ეკუთვნოდეს გრიგოლ ყიფშიძის („ივერიის“ პასუხისმგებელი მდივნისა და ილია ჭავჭავაძის თანამოაზრის) ოჯახს, მისი ქალიშვილია, მასწავლებელი, რომლის ძირძველი სამშობლო სალოლაშენი იყო. მ. ხუციშვილს ჩაუწერია, საიდან მომდინარეობს სოფლის სახელწოდება: „სოფლის სახელის წარმოშობაზე შემდეგი ლეგენდებია: „თათრები სოფლის ორი მხრიდან შეხვედრიან ერთმანეთს და მისალმებიან „სალოლ-სალოლო“ და აქედან დაერქვა სალოლაშენი“ (ჩაწერილია ბესო შუბითიძისგან). მეორე ვარიანტი ასეთია: „იქ, სადაც სოფელია გაშენებული, ძლიერ ბევრი ღვალა იყო, ერთგვარი ბალახია, რომლისგანაც შეჭამანდს აკეთებდნენ. პირველად იყო საღვალ-შენი, შემდეგ სალოლაშენად გადაიქცა“. „ერთი ვარიანტი ჩავიწერეთ ავნევეში იასონ (გვარი არ იკითხება)საგან „სალოლაშენში ერთხელ გამოუვლიათ თათრებს, ერთი ქალი შეხვედრიათ. თათრებს ქალი ძლიერ მოსწონებიათ და „სალოლ-სალოლო“ უთქვამთ“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 10) აქვე ჩამოთვლილია სოფლის მცხოვრებთა გვარებიც: „სოფელი გვარების მიხედვით იყოფა უზნებად: ყიფშიძეები ერთად მცხოვრებნი არიან, ძმორაანი, ჯავახიანი და სხვანი“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 10).

საექსპედიციო მასალებში ყურადღება გამახვილებულია დღესასწაულებისა და ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ისეთ მომენტებზე, როგორცაა ნიშნობა, ქორწინება, „ბატონების“ შემთხვევაში აუცილებელი წეს-ჩვეულებანი, უშვილობის მკურნალობა, მშობიარობა. ექსპედიციის მონაწილეები იწერენ ამინდის ცვალებადობას, ადამიანთა განწყობილებასაც მთქმელებთან ურთიერთობისას. ლაზარობას, ქადაგად დაცემას. თვით საექსპედიციო მასალა შესანიშნავად გამოხატავს ისტორიულ ძეგლებთან დამოკიდებულება-შთაბეჭდილებებს. მაგ. „უკანასკნელი პუნქტი ჩვენი ექსპედიციისა იყო სოფელი ყორნისი. ყორნისში ოსი მოსახლეობაა, არაფერი ჩავიწერია, მაგრამ ჩვენთვისაც საინტერესო იყო თავისი კოშკებით და ციხეებით“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 9) თუმცა ს. მაკალათიას „ფრონის ხეობაში“, სადაც ყორნისიცაა აღწერილი თავისი ისტორიული ძეგლებით, იგი დაუსახლებელ სოფლად ითვლება: „ყორნისი მდებარეობს მტილიანის ხეობაში. მტილიანი ფრონეს ერთვის ციხისათან. ქართული მოსახლეობა ყორნისში ლეკიანობისაგან ამოწყვეტილა, დარჩენილია ნასოფლარი და ძველი კოშკები“ (მაკალათია 1963: 34) ე.ი. ს. მაკალათიას ეს ნასოფლარი უნახავს 1944 წლამდე, თუმცა აქვე კასარეთის წმ. გიორგის ეკლესიის აღწერას ახლავს მინაწერი: „კასარეთი ამ მხარეში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლებოდა და სალოცავად მოდიოდნენ შორეულ სოფლებიდანაც. მლოცავი მას ღამეს უთევდა, მოჰქონდათ საწირ-სანთელი, მოჰყავდათ საკლავები და სხვ“ (მაკალათია, 1963: 35) საექსპედიციო მასალებში აღწერილია „ლაზარობის“ დღესასწაული, რომელიც ძალიან მიაგავს ატენის ხეობაში ექსპედიციის დროს ჩანაწერს: „ქეთო აბაიძე, 80 წლისა, სოფ. არადეთი, 23 ივლისი. როცა გვალვა იყო რვა უღელს გავაკეთებდით და გუთანს შევებმევოდით... გუთნის დედა გვყავდა, წყალში გავატანდით და დავასველებდით გუთნის დედათ კაცს ვირჩევდით, იმასაც ვასველებდით. მეორე დღეს დავკლავდით ცხვარსა, ეკლესიაში წავიდოდით, შემოვუვლიდით გარშემო მღვდლითა. მერე ღვდელი აკურთხებდა სუფრასა და ვისადილებდით“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 5).

„ატენის ხეობიდან“ „გვალვის დროს იცოდნენ გუთნის ტარება წყალში. ამისთვის ქალები შეებმებოდნენ გუთანში და წყალში შეტოპავდნენ, ვითომც ხნავდნენ და

თესავდნენ, ერთმანეთს წყლით წუწავდნენ და იძახოდნენ: „წვიმა მოვიდაო“ (მაკალათია, 1957: 32).

ახალი წლის (სიხარულის ახალი წელიწადი) „ბარბარობა“, „თაგვო-თაგვობა“ წეს-ჩვეულებათა აღწერა ქართლში გავრცელებულ მიღებული ტრადიციებისაგან ნაკლებად განსხვავდება. სამაგიეროდ საყურადღებო და განსხვავებულია „საექსპედიციო მასალებში“ აღწერილი მშობიარობა, როგორც თვით ქალბატონი მარეხი აღნიშნავს: „ჩვენში შეკრებილი მასალა მრავალფეროვანია, ცხოვრების სხვადასხვა მხარის შემცვლელია. ამათგან ყურადღებას იქცევს მშობიარობისა და ქორწინების წესები, რომლებიც ეხლაც ატარებენ უძველესი ჩვევების ანარეკლს“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 9). „...რომ მშობიარობას მშვიდობიანად გაეგლო, სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ, ორსულ ქალს რკალში აძვრენდნენ, ყოველ ღამეს ნეფე პატარძალს მარცხენა ფეხზე წინდას თავისით გახდიდა, მშობიარობა ადვილი ჰქონდესო (დევანი). ქალს ქათმის საკვერცხეს აჰმევედნენ ამავე მიზნით (ნული). პირველად არც ამ ხეობისათვის ყოფილა უცხო ეს ჩვეულებები მშობიარობის დროს, რომელიც საქართველოს მთიანეთში იყო დაცული ჩვევა. შემდეგაც, ოღონდ აქ ქალის მარტო მომშობიარობის წესს არსად არ შევხვედრივართ. ქალს ყოველთვის რამდენიმე დამხმარე ჰყავს მსგავსად მთიელთა წესებისა. აქაც მას ამშობიარებენ მიწაზე, რომელზედაც გაშლილია თივა ან ფალასი და წესიერ საწოლზე მელიოგინე 3-4 დღის შემდეგ გადაჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წესი არსებობს მელიოგინის სულისგან დამცველი, როგორც მაგ. ცეცხლის ჩადება კარებში, ხანჯლის ან დანის ჩადება მელიოგინის თავით ან ბადით დაფარება, თვით მელიოგინე ითვლებოდა უწმინდურად და ბოროტი სულის მატარებლად. მამაკაცებს 3 კვირის განმავლობაში მელიოგინესათვის არ უნდა შეეხებინათ სახეზე, თორემ დაინავსებოდა. მელიოგინეს ახალი თევზი არ უნდა ეჭამა. თორემ მებადური თევზს ვეღარ დაიჭერდა“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 10-11).

სხვა ჩანაწერებით („მშობიარობა-ძეობა“): „როცა იორსულეზდა ქალი, მამინ წავიდოდა სახლში, რაც მზითები დააკლდებოდა, მამინ შეუსრულებდნენ პატარძალს უეჭველად. მშობლების ოჯახში უნდა ელოგინათ. როცა მოილოგინებდა ქალი, იმართებოდა ძეობა. ხალიფაფას გავაკეთებდით, ბევრ ერბოს უზამდით, ბავშვი სუქანი იყვებო. ბავშვს აკვანში რო დავაწვენდით, თავით ფულს დავუდებდით და გატენილი ჯამით ფქვილსა, ბარაქიანი, მდიდარი იყვესო. ფქვილს მერე ბებია წაიღებდა. ქმარს უნდა წაელო, ურემი მოეყვანა. ქალის დედა ბავშვს უყიდამდა აკვნის მოწყობილობასა. ვინც ძეობას არ ესწრებოდა, ისინი ბებიას ფულს აძლევდნენ, ვისაც რამდენი უნდოდა.

ავი თვალისათვის ბავშვს შეაბამდნენ ხუთნაირ მიძის: გიშერი, მარჯანი, ქარვა, სათვალე და ღვრინჭილა, ღვრინჭილა ჭრელი იყო, ზღვის ქვასავით, სათვალე თვალის კაკლისნაირი იყო, შუაში გახვრეტილი იყო. ატარებდნენ ამას ბავშვები ორ წლამდე. მერე მოვხსნიდით და შემდეგ სხვა ბავშვს გაუკეთებდით“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944).

სოფელ სალოლაშენში 21 ივლისს ტასა გიორგის ასულ შუბითიძისგან ჩაუწერიათ ექსპედიციის მონაწილეებს მშობიარობის სხვა წესი: „როცა ქალს მუცელი ასტკივდებოდა, დაუძახებდნენ ბებიას, ჩვენმა ბებიებმა ასე იცოდნენ: დადებდნენ სამ მუთაქას მიწაზე, ერთ მუთაქაზე მშობიარე მუხლჩოქით იდგა ზედ. მარჯვნივ და მარცხნივ თითო მუთაქა ედო მშობიარეს, რომლებზედაც თითო ქალი იდგა მუხლი ჩოქით. მშობიარეს ამ ქალებზე ხელი ეკიდა და ხელგადახვეული ქალები, ე.ი. მშობიარის ცერი ეჭირათ ხელში, ერთ ქალს მუცელი ეჭირა ხელში, ბებია უკან იდგა და თუ ბავშვი დაიგვიანებდა, ბებია ეხმარებოდა ხოლმე. ამათ გარდა სხვა ქალებიც იყვნენ, ზოგს ძმარი ეჭირა, ზოგს წყალი. როცა ბავშვი დაიბადებოდა და ამხანაგი დაიგვიანებდა მშობიარეს ცარიელ ბოთლში ჩააფურთხებინებდნენ. როცა ჭიპის მოჭრის დრო დადგებოდა მთელი ქალები კარში გამოვიდოდნენ. ჭიპს ბებია მოაჭრიდა, თუ ჭიპის მოჭრის დროს ოთახში ვინმე დარჩებოდა,

პურს არ გამოაცხობინებდნენ, ვიდრე ნათლის წყალს გადაავლებდნენ. მელოგინეს თავზე აწვენდნენ მშობიარის შემდეგ 3 დღეს ზედ ძვლებს დაუგებდნენ, მოლოგინების შემდეგ მშობიარეს თავქვეშ რკინას დაუდებდნენ (გინდა ხანჯალი იყოს, გინდა დანაო), რომ ავი ანგელოზი არ მიაკაროსო. ზოგჯერ ავადმყოფს ურმის თვლის სალტაში გააძვრენდნენ ავი ანგელოზი მოიშოროსო, ახლად დაბადებულს ხოჭიჭში აწვენდნენ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 2).

საექსპედიციო მასალებში ჩაწერილია სოფელ არადეთის მცხოვრების, 77 წლის ევა კაბულაშვილის მიერ მოწოდებული მიცვალებულის გაპატიოსნების წესი: „როცა ადამიანი კვდება ზოგი თავქვეშ პურ დაუდებდა, მატყლსა, წყალსა დაუდგამდა - ცოდო ხომ არა აქვს ან პირიდან ან მატყლიდან, ან წყლიდან. მიცვალებული პატრონს უნდა დაეხანა და სასვენში ჩაესვენებინა. ქმრიან ქალს თავს დახურავდნენ, ახალგაზრდას კი არა. სასაფლაოზე მღვდელი და უფროსი კაცები მუჭით მიწას მიაყრიდნენ და იტყოდნენ: „მიწა ხარ, მიწად იქეციო“. უკან რომ დავბრუნდებოდით, სახლში სუფრა იყო გაშლილი, სტაქანს თავს წაუქცევდნენ, მიაგებოსო, განათლდეს მისი სული. მერე ჩამატარებდნენ კერესის ლავაშსა და ფლავსა - კერესის დროს იციან დაჭრილი, სანთლები ანთია ლავაშებზე, საღვინეზე და ხილზე. კერესი რომ ჩამორიგდებოდა, მერე შესაწევარი იქნებოდა. შესაწევარი იქნებოდა ფული, ცხვარი, ჭირნახული, თითო ფუტსა, ნახევარ ფუტსა, ვინც მოხედული იყო ერთ ფუტსა შესწირავდა, ხალხი რომ გამოეთხოვებოდა, ჭირისუფალსა ეტყოდა: „მოთმინება მოგცეს ღმერთმა, მწუხარება ლხინათ შეგიცვალოსო!“ მიცვალებული ყოველ კაი დღეზე უნდა მოიხსენიონ თავისიანებმა. საადგომით ბატკანს უკლამენ“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, 1944: 7).

ზოგიერთ ჩანაწერს მიწერილი აქვს: „ჩაიწერა მ. ხუციშვილმა“, მაგრამ ხელი ერთია - მარეხ ხუციშვილისა. ხელნაწერს ბოლოს ერთვის სხვადასხვა სახის შელოცვები. აშკარაა ექსპედიციის მიზანი იყო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის ჩაწერა, მაგრამ არა ერთიმეორისგან გამოყოფილად.

განსაკუთრებით საინტერესოა ქალბატონ მარეხის მიერ მოგზაურობის აღწერის ნაწილებიც, ფაქტის გამოკვეთა, რომ მამაკაცები იშვიათად მოლაპარაკენი მთხრობელნი იყვნენ. უფრო ქალები იღებდნენ სტუმრად მოსულებს და უყვებოდნენ კიდევ ტრადიციაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს.

დასკვნა. საექსპედიციო მასალა თავისი ფორმითა და სტრუქტურით საყურადღებო ინფორმაციას იძლევა 80-იოდე წლის წინ გავრცელებულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ნიმუშებზე, რაც აკლდა წიგნად გამოცემულ „ფრონის ხეობას“, თუმცა აუცილებელი, საჭირო დოკუმენტი იყო როგორც 1944 წელს, ისე სადღეისოდაც, სავლელ მუშაობის პროცესების შესწავლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები. (1944). საექსპედიციო მასალები. მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. მაკალათია, ს. (1957). *ატენის ხეობა*. თბილისი: სახელგამი. სოსიაშვილი, გ. (2025). ფრონეს ხეობის ისტორიიდან (მდებარეობა, სახელწოდება, შენაკადები, სოფლები). *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*. No XIV.

REFERENCES

- goris ist'oriul-etnograpiuli muzeumis pondebi [Gori Historical-Ethnographic Museum Funds].* (1944). saeksp'editsio masalebi [Expeditionary Materials].
- mak'alatia, s. (1963). *pronis kheoba [Phrone Gorge]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- mak'alatia, s. (1957). *at'enis kheoba [Ateni Gorge]*. Tbilisi: State Publishing.
- sosiashvili, g. (2025). *prones kheobis ist'oriidan (mdebareoba, sakhelts'odeba, shenak'adebi, soplebi)* [From the History of the Prone Valley (Location, Name, Tributaries, Villages)]. *ist'oria, arkeologia, etnologia [History, Archaeology, Ethnology]*. No XIV.